აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 41

03/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ და მისი წარმომადგენლის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით 2016 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მომართეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულმა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა „ნეიტრალური საქართველო“ სახელწოდებით „კვარაცხელია - სოციალისტები“ და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ და მოითხოვეს საარჩევნო ბლოკის „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარება. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად 2016 წლის 31 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N38 განკარგულებით უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო ბლოკი „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ და მისი წარმომადგენელი მერაბ სურმანიძე.

2016 წლის 03 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №40 განკარგულებით მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი 2016 წლის 12 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №20 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ იმ საფუძვლით, რომ 2016 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №127/2016 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კვარაცხელია - სოციალისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯომარის 2016 წლის 17 ივლისის N44/2016 განკარგულება.

2016 წლის 03 სექტემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №40 განკარგულებით მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი საარჩევნო ბლოკში „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ გაერთიანებული ორი რეგისტრირებული პარტიიდან ერთი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „კვარაცხელია - სოციალისტები“ საარჩევნო რეგისტრაცია, შესაბამისად საარჩევნო ბლოკში „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ დარჩა მხოლოდ ერთი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად უნდა გაუქმდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 31 აგვისტოს N38 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს **„კვარაცხელია - სოციალისტური საქართველო“** და მის წარმომადგენელს **მერაბ სურმანიძეს.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე